№ 216 16 ოქტომბერი, შაბათი 1866—1882 16 ოქტომბერი, შაბათი. № 216.

რედაქცია

კალაკანის პროსპექტზე თ. ივ. ჯუღაშვილის სახლში.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერასიმეს) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

წლიერ	9 მან.	სამი თვისა	3 მან.
ექვსი თვისა	5 მან.	ერთი თვისა	1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასოებიანი ასოზე ნახევარი კაპ., ნაკლებასოებიან ასოთა ხტრიქონზე 8 კაპ.

თუ სიჭარბეები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კვლა დაუბრუნებს ხეტრიქს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სომხურ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკეული „დროების“ ნომერი ერთი შაური.

სამის თვის ხელის-მოწერა.

პირველის ოქტომბრიდამ ამ 1882 წლის დამლევამდინ

„დროება“

ღირს გაგზავნით 3 (სამი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. ჯ. ჭუღაშვილის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

არწრუნის თეატრი

კვირას, 17 ოქტომბერს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

ალბ. ნათაძის დებიუტისათვის

I

ფეშლილია

ორ მოქმედ. ფრანცუზულიდან.

II

ბაიყუში

ერთი 2 მოქმედ. გადმოკეთებ. ა. ცაგარელისაგან.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტელეგრამა

(„ასლთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი“)

პეტერბურღი, 14 ოქტომბერს. ფინანსთა სამინისტროში 20 ოქტომბერს ასრულებს სხდომა, ვაჭრობის წარმომადგენელთა მონაწილეობით კავკასიაში ტრანზიტის მოსპობაზედ.

ბაქოს საზოგადო ბანკებისათვის დადგენილია დადგინდეს: თუ [illegible] ბრძანდება, რომ გასავალი არ იყოს შეშფოთებულ და თავნ კაპიტალით; რომ ძირითადი კაპიტალი, რომ-

„დროების“ ფელეტონი, 16 ოქტ.

ანკესი 1882

ორგანო უნებლიედ მოარაკეთა

ტფილისი 14 ოქტომბერს.

[illegible]ირი კედელს!... სამტრედია-ბათუმ[illegible] რკინის გზამ დ. ლანჩხუთში საიმ[illegible] პასპორტი აიღო და ყველას თა[illegible]ვიკრათ ერთ მანძილ-ნახევარზე! [illegible] ლუბრმაში მოქცეულ ღელეებმა [illegible]ლის თაობაზე მცხოვრებლები [illegible]ებოდენ რკინის გზის გამგებ[illegible], ასე ნუ იზამთ, არ ვარგაო და [illegible]თისაც ჯერ სასმელად და მერე [illegible]წყავად საჭიროა რამდენიმე ღე[illegible]ოს,) ჩვეულებრივად ამ შემოდ[illegible]ში ადიდებულებმა გასტეხეს ის [illegible]ები, რომლებშიაც გზის მეის[illegible]ებმა მათ ჩაკერა მოინდომეს, დესაც მას გამოეკლება ეს გასავალი, შეადგენს მეათედ ნაწილზე ნაკლებს ბანკის ვალისას, მაშინ ქალაქი მოგალეა შეავსოს ეს კაპიტალი მეათედ ნაწილამდე და ან გამოაცხადოს ბანკის დახურვა.

გეოგრაფიის საზოგადოება ამზადებს ეკსპედიციას ახალ-თეკეში გასაგზავნად.

მოსკოვი, 14 ოქტომბერს. ინიშნება რევიზია ოფლების სამსჯავროებისა.

ხაზინადარი, რომელმაც წაიღო გასადები იმ სალარისა, სადაც ინახება 13 მილიონი ნივთები, წასულა იალტაშიო. გადაწყვეტილა გასტეხონ ზანდუკები, თუ დანიშნულ დროზედ არ დაბრუნდაო.

კეტერბურღის ბირჟა, 14 ოქტომბ.

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი ვამოცემისა—	94—	25
მეორესი— — — —	91—	12
მესამესი — — — —	91—	„
მეოთხესი — — —	90—	37
მეხუთესი — — —	90—	37
ალმოსავლეთის პირვ.—	88—	87
ალმოსავლეთის მეორე	89—	12
ალმოსავლეთის მესამე	89—	12
ოქრო, 1/2 იმპერიალი	8—	18

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

პირველი სესხის —	—	209—	25
მეორე სესხის —	—	203—	„

100 მანეთი ღირს:

ლონდონი —	24—	9	პენსი
ამბორული —	206—	37	ცენტი
პარიჟი —	— 253—	25	სანტიმი
ბერლინი —	„ —	„	პფენიგი

დღიური

მოგვყავს ზოგიერთი უფრო დაწვრილებული ცნობანი იმ კომერციული კურსების თაობაზედ, რომელსაც ბ-ნი მანუელიანცი მართავს ჩვენს ქალაქში:

დანიშნულება კურსებისა ის არის, რომ მისცეს მსურველს ისეთი განათლება, რომელიც ყველა ვაჭრისათვის საჭირო. ამ მიზნით აქ ასწავლიან: საერო ეკონომიას, საერო არითმეტიკას, ბუღგალტერიას, საერო მიწერ-მოწერასა და ვაჭრობის და ვექსილების შესახებ კანონებს. როგორც ამას წინადაც მოვიხსენეთ, ამ სასწავლებელში ორი განყოფილება იქნება: უფროსი და უმცროსი. უფროსის შაგირდებს წელიწადში ათი თუმანი გადახდებათ სწავლის ფასი და უმცროსისას — შვიდ-თუმან-ნახევარი. სწავლა საღამოობით იქნება. თუ საჭიროდ ალმოჩნდა, შაგირდებს ქართულად და სომხურადაც აუხსნიან საგნებს.

კომერციული კურსები უნდა გახსნილიყო ამ ღვინობისთვის 15-დან სოლოლაკის ქუჩაზე, ალ. ყორლანოვის სახლებში, № 21.

* * *

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ძუთაისიდამ ერთი ახლად დაბეჭდილი წიგნი, სახელად „თებერვლის ოტ-დაოთხი ანუ მამის წყევლა“, ერთ მოქმედებიან დრამა, ვერნიერის თხზულება ქართულად ბ. დემურიანისაგან გადმოკეთებული.

* * *

ბეჭათუბნიდან გვწერენ, რომ ამ სტანციის მახლობლად ორს სოფელში—ზვარეში და ნუნისში ამ რამდენიმე წლის წინად მადნის წყლები ალმოჩენილა, ხალხი დაიარებაო და მეპატრონეებმა აბანოებიც გამართესო. მაგრამ ამ სოფლებში ისეთი ცუდი მისასვლელი გზები არისო, რომ ავად-მყოფებს ძლიერ უჭირთ აბანოებზე მისვლა და ამას გარდა, რამდენი ხანია ეს მადნის წყლები ალმოაჩინეს და ჯერ აქამდინ კაცს ყურადღება არ მიუქცევია ამათთვის, ექიმიც კი არ გამოუგზავნიათ, რომ გამოიკვლიოს—თუ რა გვარი წყლებია და რაგვარ ავად-მყოფობისათვის არის საჭირო და მარგებელი და რა გვარისათვის მავნებელიო.

* * *

ბაზეთს „შრომას“ შეუტყვია, რომ ახალს ეგზარხოსს საქართველოისას მალალ ყოველად-სამღვდელო პავლეს ჰსურსო, რომ ჩვენს ქალაქში (ძუთაისში) სასულიერო სემინარია გაიხსნასო და ეს გარემოება სრულს იმედს გვაძლევსო, უმატებს გაზეთი, რომ ჩვენი სამღვდელოების თხოვნა შეწყნარებული იქნებაო.“

* * *

„შრომაშივე“ ვკითხულობთ:

ჩვენ შევიტყეთ, რომ მისს იმპერატორებით უმაღლესობას პრინცს ა. ბ. ოლდენბურღსკის შეუწირავს ძუთაისის სასწავლებლების ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოებისათვის ხუთასი მანეთი.

ახალი ამბები

უცნაურებია ხანდისხან ეს ისიათუქელები! ზოგჯერ იმისთანა რამეს აქვს მათში გასავალი და ფასი, რომ ყველასთვის გასაკვირველია, და ზოგჯერ იმ გვარ რამეს ჩუმის სიცილით უყურებენ, რომ ხმა მაღლა განსჯის ღირსია. ამ დღეებში მაგალითად იქაურს ჩანჩურ ტარიელიძის სტამბაში ს—კის შენობაში, დაგვირგვინებულა, ანუ ხატებით რომ არა ვსთქვათ—დაუბეჭდავთ ერთი კომიკური ფარს-ეოდეევილი, რომელიც ადგილის საზოგადოებას წაუკითხავს, ჩუმად ბევრი უცინია (მწარედ?) და ცხადად კი... სსსუ-თი მიგებებია. ჩვენ ვნახეთ ეს ფარს-ეოდეევილი და საჭიროდ ვთვლით ამ მოკლე დროში მალე ვრცელი განხილვა მისი წარეუდგინოთ მკითხველნი, სახელად „ოქროს ოტ-დაოთხი ანუ მამის წყევლა“, ერთ მოქმედებიან დრამა, ვერნიერის თხზულება ქართულად ბ. დემურიანისაგან გადმოკეთებული.

* * *

ბეჭათუბნიდან გვწერენ, რომ ამ სტანციის მახლობლად ორს სოფელში—ზვარეში და ნუნისში ამ რამდენიმე წლის წინად მადნის წყლები ალმოჩენილა, ხალხი დაიარებაო და მეპატრონეებმა აბანოებიც გამართესო. მაგრამ ამ სოფლებში ისეთი ცუდი მისასვლელი გზები არისო, რომ ავად-მყოფებს ძლიერ უჭირთ აბანოებზე მისვლა და ამას გარდა, რამდენი ხანია ეს მადნის წყლები ალმოაჩინეს და ჯერ აქამდინ კაცს ყურადღება არ მიუქცევია ამათთვის, ექიმიც კი არ გამოუგზავნიათ, რომ გამოიკვლიოს—თუ რა გვარი წყლებია და რაგვარ ავად-მყოფობისათვის არის საჭირო და მარგებელი და რა გვარისათვის მავნებელიო.

* * *

ბაზეთს „შრომას“ შეუტყვია, რომ ახალს ეგზარხოსს საქართველოისას მალალ ყოველად-სამღვდელო პავლეს ჰსურსო, რომ ჩვენს ქალაქში (ძუთაისში) სასულიერო სემინარია გაიხსნასო და ეს გარემოება სრულს იმედს გვაძლევსო, უმატებს გაზეთი, რომ ჩვენი სამღვდელოების თხოვნა შეწყნარებული იქნებაო.“

* * *

„შრომაშივე“ ვკითხულობთ:

ჩვენ შევიტყეთ, რომ მისს იმპერატორებით უმაღლესობას პრინცს ა. ბ. ოლდენბურღსკის შეუწირავს ძუთაისის სასწავლებლების ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოებისათვის ხუთასი მანეთი.

მიჰმართეს მამა-პაპურ ნაპირებს წარღვნეს რკინის გზის რელსები და ამ ნაირად შეარცხვინეს საგზის მეისტრის ოსტიგანობა და ნუგეში სცეს ალაგობრივ მცხოვრებლებს!

მაგრამ, ჰმ... გზის მეისტერი და სირცხვილი გაგონილა... სხვაფერ უნდა მეთქვა: გზის მეისტრები სირცხვილს ურმობით ჰყიდიან, ფუთს მეასედ კაპეიკად; რადგანაც ფრთის ასხმისათანავე ერთობ ბევრი აქვსთ შეძენილი, ამიტომაც ამ ერთ შეძენებისათვის ისინი სახეს არ შეიჭმუხვნენ და ყურს არ გაბარტყუნებენ და სახტადაც არ დაგირჩებიან—იცოდეთ. და თუ გაბარტყუნეს და შემჭუხნეს—ეს იქნება ნამდვილი—ჯიბე და ხელი—ჯოჯოხეთის კლიტის მისაღებად, ვითომ გზის გაკეთებისათვის...

—

შორაპნის უზდაბალიანის ნაჰამჩიკო ბარაქალა, ბარაქალა! ბარაქალა და ბარაქალა! ძრთამ-მეისტერს ზ. ჭ—ს გადაუწყვეტია თქვენთვის ოლტყოფის I ხარისხის ორდენის მოცემა, ვინაიდან თქვენ სახელოვანად მიუდეგით „დროების“ საჩხერელ კორრესპონდენტის (დაქირავებულ კომანდის შემწეობით) შეურაცხმყოფელ უსტაბაშს. ოტ-და-ხუთმა ესე იგი ყველა მოწმემ რაც გიჩვენათ, ის თქვენ ჩაილულის წყალს შიაბარეთ და ადვილად მისახვედრ მიზეზის გამო, თქვენს გამმოგზავნს გამოსაძიებლად,—მოახსენეთ „ничего подобнаго не было“ („მსგავსიც არაფერი ყოფილაო“!) დაიცათ შვილოსა, კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს, თქვენც მოგეკითხებათ ანგარიში, და მაშინ „ვაი თქვენდა წინამძღვარნო!..“

„ამ ფრიად სასიამოვნო და სამადლობელმა საქციელმა ორ ნაირი სარგებლობა უნდა მოგვიტანოს ქუთაითურებს: ერთი, რომ ქველ მოქმედებითს საზოგადოებას უნდა გაუადვილოს წრეულს თავის მოვალეობის ასრულება და მეორე—უცხოეთიდან მოსულის უმაღლესის სტუმრის მოქმედება სამაგალითო უნდა შეიქნეს ზოგიერთის ჩვენში უმდიდრეს კაცებად ცნობილის პირებისათვის, რომელნიც აქამდინ იშვიათად ჩნდნენ ქველმოქმედების განზრახვით გამართულს საღამოებზედ და წარმოდგენებზედ, რადგან ორიოდე გროშის ვამეტება ეზოგებოდათ.“

* * *

ქუთაისიდან გვწერენ, რომ იქ ამ დღეებში ჩასულა ბატონი პლატონოვი ადგილობრივ სამსჯავროებში სამოქალაქო საქმეთა და აგრეთვე სამიჯნავთა გასაცნობელად. სამიჯნაო ნაწილში თითქმის ყველა მოსამსახურეთ, როგორც კი ბ. პლატონოვის ჩამოსვლა შეუტყვიათ, იმ წამშივე სოფლებში ამოუყვიათ თავი, მათის სიტყვით—მოქვემდებარე ინსტანციების რევიზიისათვის...

* * *

იქიდამვე გვწერენ, რომ წარსულს კვირას ქუთაისის ერთს შორებელს ეკლესიაში დაუწერიათ ჯვარი პრინცს ქ. ოლდენბურლსკი და აგრ. ჯაფარიძის ასულს, ნაცოლევს თ. ტ. დადიანისა.

* * *

ოზურგეთის მაზრის სოფ. ბასილეთიდან ერთი გლეხი გვწერს:

„ჩვენი სოფლის მცხოვრებლები იქამდინ შეწუხებული ვიყავით ჩვენის მოძღვარისაგან, რომ სწორედ კინალამ გავთათრდით, მაგრამ ჯერ ღმერთს ვმადლობთ, ბ. რედაქტორო, და მერმედ თქვენს მარჯვენას, რომელმაც შეატყობინა მმართებლობას ჩვენი მდგომარეობა, თქვენის ერთის „დროების“ შემწეობით, და მმართებლობამაც მიაქცია ღირსეული ყურადღება ჩვენს გაჭირებას, ბ. მაზრის უფროსმა ხელ-წერილი ჩამოართვა ჩვენს მოძღვრად ნამყოფს, რომ იმან შემდეგში აღარ გაბედოს ექიმობა შეშლილებისა.

„ახლა ეს ჩვენი მოძღვარი ჩოლოქის მახლობლად გადაიყვანეს სოფ. აჯში (მოგვილოცავს აჯში მცხოვრებლებისათვის!). ჩვენ კი რიგიანი მღვდელი დაგვინიშნეს, რომელიც ღირსეულად ასრულებს თავის მოვალეობას.

„მაგრამ ჩვენმა მოძღვრად ნამყოფმა დაგვიტოვა ერთი თავისი შაგირდი; მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენ ეხლა გახლავართ ბათომის გუბერნიისა, მაგისთანა კარგი კაცების წყალობით, და იმედი გვაქვს იქაური მმართებლობისა. ღმერთმა დაუმადლოს ბატ. სხეკალოვს, რომელიც ჩვენს სოფელში იყო და მოსთხოვა სოფელს მაგისთანა პირები, როგორიც არის ჩვენი მოძღვრად ნამყოფის შაგირდი, რომელსაც არ გააჩნია არავითარი ბინადრობა, მხოლოდ დაცულლუტობს სოფელში და ცარცავს სოფელს ვითომ-ადვოკატობით, თუმცა იმას ისე არ ესმის ადვოკატობა, როგორც მე ჩინეთური. იმედი გვაქვს, რომ ბ. სხეკალოვის გამორჩეული ოც-და-ოთხი თავი კაცები არ დასტოვებენ მაგისთანა მავნე კაცს ჩვენისთანა ყრუ სოფელში ხალხის შესაწუხებლად“.

„დროების“ კორესპონდენციები

ლეჩხუმი, 11 ოქტომბერი. ყველამ კარგად იცის ხალხის კეთილ-დღეობაზედ და წარმატებაზედ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, სხვათა შორის, კარგ გზებს. რაც უფრო კარგი გზები აქვს ხალხს, ისე უფრო ადვილად შეუძლია მას დაუახლოვდეს სწავლა-განათლებას და მატერიალურის მხრითაც გააუმჯობესოს თავის მდგომარეობა.—მაშასადამე როგორც თვითონ ხალხი, ეგრეთვე მთავრობაც უნდა ცდილობდნენ გზების საშვალებით სოფლების, მაზრების და გუბერნიების შეერთებას. ხალხის და მთავრობის განუწყვეტელ სურვილს და ცდას ის უნდა შეადგენდეს, რომ დღითი-დღე კეთდებოდეს არა თუ მარტო შოსსე (შარა გზა), არამედ შინაგანი სასოფლო გზებიც, რომ უფრო ადვილად, ყოველის დაუბრკოლებლად და ყოველს დროს შეეძლოს ხალხს ერთმანერთან დამოკიდებულება იქონიოს.

ჩვენს მთავრობაზედ, ცოდვა რომ თქვას კაცმა, არ გვეთქმის სამდურავი განსაკუთრებით შოსსეს კეთებაზედ. ყოველთვის აკეთებს ის შოსსეებს იქ, სადაც კი საჭირო არის, მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ გაკეთების შემდეგ ჯეროვან ყურადღებას არ აძლევს მათ. პირველად—გაკეთებისათვის არ ზოგავს ათას და ათი-ათას თუმნობით და გაკეთების შემდეგ გადასცემს ინჟინრის ხელში, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ მის (გზის) გაუმჯობესობას ცდილობდეს, იმას ცდილობს, რომ გზის ფულებით ჯიბე გაისუქოს. ამასობაში, რამდენიმე წლის შემდეგ, იმ მდგომარეობაში ვარდება გზა, რომ პირველ გაკეთებაზედ უმეტესი თუ არა—ნაკლები ხარჯი არ დასჭირდება მის ხელ-ახლავ მორჯულებას.

თითქმის ამ ბედის არიან ყველა ის გზები, რომელსაც უმაღლესი მთავრობის ყურადღება მოშორებული აქვს, ესე იგი რომელზედაც განუწყვეტელი ინსპექცია არ არის. ამისთანა გზების ფულები სულ ინჟინრების ჯიბეში მიდის და გზები უყურადღებლობით ფუჭდებიან. ვინ არის ამაში დამნაშავე? მთავრობა,—და იმიტომ რომ ფულებს თითქმის უკანტროლოდ აძლევს ინჟინრებს და იმას აღარ აქცევს ყურადღებას—თუ რა კეთდება ამ ფულებით. მართალია, ანგარიშს კი ძალიან წმინდად აგენ ინჟინრები ამ ფულების ხარჯვაში, მაგრამ ეს არ უნდა იყოს საკმაო მის დასამტკიცებლად—თუ რა გაკეთდა ამ ფულებით. ანგარიშის შედგენა ძვიელი ადვილია...

ამ ვვარ მდგომარეობაში არის სამხედრო—ოსეთის გზა (Военно-Осетинская дорога). ამ გზის გასაკეთებლად ვინ იცის მთავრობას რა დაეხარჯა, და ვინ დათვლის რამდენი სოფლის ხალხის ძალა მიაწყდა მის გაყვანაზედ.

როგორც იყო და რაც დაჯდა, ამას ნულარ გავიხსენებთ—ჩვენთვის საკმაო ის არის, რომ ისეთ ადგილას გაკეთდა შოსსე, სადაც ადრე საქვეითო გზაც არ ვარგოდა. მაგრამ ეს ისეთი გზა არის, რომ თუ მუდამ არ ადევნებს მას კაცი თვალს, თითქმის ყოველ დღეს ფუჭდება.

ეს გზა გაკეთების შემდეგ, ჰქონდა ჩაბარებული ინჟინერ ზუბოვს და, ცოდვაა, რომ არ ესთქვათ, გზა მუდამ გვარიან მდგომარეობაში იყო. ზუბოვის შემდეგ ეს გზა გადაეცა ბატ. ვანიოროსკის, რომლის ხელში თითქმის უყურადღებოდ იყო მიტოვებული გზაც და ხიდები ხომ სულ არ ვარგოდა. აგერ ორი წელიწადი გადის სოფ. ნამახვანს ხიდი არ უნახავს კაცს;—ერთხელ რომ ჩაინგრია, კაცს არ მოუკიდია მისთვის ხელი. თუ რა ძნელია უხიდობა ამას თვითონ მკითხველი წარმოიდგენს. ეს ინჟინერი მაშვინ შეაკეთებდა ხიდებს და გზებს, როდესაც გაიგებდა ინსპექტორის წამოსვლას. ჩვენდა საუბედუროდ, ინსპექტორმაც გაიძვერა აქეთკენ გამოსეირნობა.

ეხლა, როგორც იქნა, გავნთავისუფლდით ბატ. ვანიოროსკისაგან და გზა გადაეცა ბატ. ოლლოვსკის. მაგრამ, საუბედუროდ, ამისაგანაც იმედები მარტო იმედებად გერჩება. ერთი ხიდი არ არის, რომ ზედ ცხენით გასელა შეიძლებოდეს,—ფაიტონებმა და ურმებმა თქვენი ჭირი წა-

---

ლებს. ეხლა კი მოგვყავს მისი, ცოტა არ იყოს, ერცელი სათაური, რომ მსურველს შეეძლოს მისი მოპოვება და ჩვენს განხილვამდი წაკითხვა. აი ეს სათაური: **ცოდი ორის ქმრისა** ანუ ყოველ წელიწადს ჯვარის წერა და მღვდელთაგან ერთმანეთის წვერის გლეჯა გვირგვინის ვითომ კურთხევის თაობაზე. ქ. ისათუქ, ჩ.-ტარიელიძის სტამბა. 1882 წ. ფასი 25,000 მანეთი.“

ყველაზე უფრო ჩვენ ეს ფასი გვაკვირვებს: თუ არის ხუმრობა—რასა ჰგავს? თუ სტყუის ავტორი,—თავისთავს ატყუებს, თორემ ჩვენ ამ ფასს სრულიადაც არ მივცემთ... მახლას! კორრექტორული შეცდომაა, უთუოდ, თქვენ ნუ მომიკვდებით, თორემ ოცდა-ხუთ კაპეიკიანს ფარსს, რომელი სულელი დაიჯდენდა ოც-და-ხუთ ათას მანეთად!...

*

ერთი ახარებული ტელეგრაფის საგენტო დაარსდა ამ ქამად რუსეთში „ჩრდილოეთის“ სახელ-წოდებით. რა შვილია ეგ საგენტო შემდეგის ამბავიდამ დაინახავთ: ამ დღეებში გვაცნობა მან, რომ პეტერბურღის გარშემო (მარტო?!) დათვები... გამრა-ელდნენო! ბალოცოს ღმერთმა, ახლა გაუგია!

*

ამ კვირაა ერთს საეკვო პატიოსნების ვაჭარს სურდა შენობის დაზღვევა და მიჰმართა მისს მეგობარს აგენტს, რომლისაგან მიიღო შემდეგი პასუხი:

„შენი სახლი რაც ღირს, იმაზე ერთი ნოლის მომატება თუ გინდა, ამ თავით ასი მანეთი მომეცი და რომ დაიწვება, ათასი. თუ კი ორი ნოლის მომატებას ფიქრობ, ეხლა სამასი მანეთი იყოს და როცა დაიწვება მაშინ ორასი თუმანი. აი პირობაა შენ ნუ მომიკვდები, ია-ააკ!“

ძარგი, ძალიან კარგი! დაუმატებთ ჩვენც ჩვენის მხრით.

*

რამდენი-რა საზოგადოებაა რომ ჩვენ არ ვიცით! ერთს ამ ნაირ საზოგადოებაზე გვწერენ ქ—სიდან:

„აქ რამდენიმე ხანია შეესდგა „ცეცხლის-გაჩენის მფარველი იდუმალი საზოგადოება“ სულ გა-ოგ-ებულ ანგელების მეცადინეობით. იმდენი განმავლობა მოიპოვა ამ საზოგადოებამ, რომ გამოაცემინა განკარგულება: ცეცხლის გაჩენის დროს არამც-და-არამც არ დარეკოთ ეკლესიებში და ხალხს არ შეატყობინოთ, თორემ დააქროლებენ და საქონელს გადაარჩენენო; გარდა ამისა ჩემს კნეინასაც სწყენს უდროვო-დროს რეკა—ზარიო“...

ა...ა...ა?!?!?!

*

ქ. ქვადამთისიდამ გვწერენ, რომ იქაურს საკენჭობიო ბანკში მოსამსახურეთა თავი მოუყრიათ ხანგრძლივის სეირნობის შემდეგ სხვა-და-სხვა ქალაქებში და დაბებშიო. მაგრამ აჩენჩიკებს ისევ ბალე მოსწყინდათ უსაქმობის გამო, და რადგან ახლა მოდაშია, ისინიც ლექციების გამართვას აპირებენ მერვე, დასანიშნავ აჩენჩიკის სასარგებლოდ, ვინაიდგან საშიშია საზოგადოებამ იმდენი გონიერება გამოიჩინოს, რომ აღარ დათანხმდეს კიდევ მერვე ბუზი-ყლაპიას მომატებასო. ლექციების საგანი იქნება: „რამდენად სასარგებლოა ნიეთიერის ზრდისათვის და ჰიგიენურის მხრით სოფ. ჭამაწოლეთში დამკვიდრება საზოგადოების ხარჯზე“. თეთრ-კენჭიანებში ბევრი ურევია ჭამაწოლეთში დამკვიდრების მსურველნი და, ეტევი არ არის, ისინი ყველა დიდის სიამოვნებით დაესწრებიან და ადგილი თუ ადგარ იქნა, ერიბულად ქრთამს გაიდებენ და მოამატებინებენ, როგორც ჩვეულებაა.

„ანგესის“ ფელეტონი, 14 ოქტომბერს.

დასტური.

უკულმა მიდის სოფელი:
ჭახრაკი მას მოეშალა,
სჯულის გვირიშტი დაირღვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილოს. ყველა ხიდებზედ ფიცრები არის ჩაყრილი. სხვა რომ არა იყოს რა ძრიელ ადვილად შეიძლება ამ ხიდებზედ დიდი უბედურება მოხდეს, — განსაკუთრებით იმისთანა ზამთარში, როგორიც აქეთკენ იცის...

რა გვეშველება უხიდობით ამ, უიმისოდაც ღამწყვდეულ ქვეყანაში?

სასურველია, რომ უმაღლესმა მთავრობამ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ გვარ ჩვენ მდგომარეობას.

ალ. გამრეკელი.

ზოგიერთნის მაზრა, 10 ოკტომბერს. ერთმა ციმბირიდან გამოქცეულმა და ორმა აქაურმა გავარდნილმა კაცმა. მოსვენება აღარ არის. იპარვენ ცხენებს და, სანამ თვითონ ცხენის საღიარალ ფასს არ მიართმევ, არ მოგცემენ. დახვდნენ შუა დღისას ურიებს და წაართვეს რაც რამ ჰქონდათ.

აი გუშინ ხუთ საათზედ საღამოთი მივიდნენ ვარძიას ბერძნის არხიმანდრიტთან. ცხენები დააჭერინეს ერთ პატარა ბიჭს და თვითონ შეეიდნენ მის ოთახში იმ დროს, როდესაც ლოცვად იდგა. სცემეს, დაამტვრიეს თავპირი და რაც რამე გაიჩნდა, სულ წაიღეს და წავიდნენ.

ეს კაცები აშკარად დადიან ყველგან; თემში გამოდიან და არავის არ ერიდებიან.

ამბობენ, რომ გუბერნატორს მოახსენა ადგილობრივმა პოლიციამ ამ კაცების მოქმედება და სთხოვა ლონის-ძიება და სხვა-და-სხვა ზომები, რომლითაც ამათი დაჭერა მოხერხდებაო; მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი განკარგულება არა ჩანს. საშუალების მიცემა თავის დროზეა საჭირო; შემდეგ გვიანლა იქმნება!

ადგილობრივ პოლიციას არ შეუძლია ამისთანა შემთხვევაში საზოგადოება დაიფაროს. ამისთანა შემთხვევაში სხვა ძალა არის საჭირო. მართო მიწერ-მოწერა საქმეს ვერ გააკეთებს.

საზოგადოებას იმედი აქვს, რომ მართებლობა დაიფარავს ამ კაცებისაგან და მოახდენს სასტიკს განკარგულებას მათ დასაჭერად. თუ არა იქმნა რა მეტი საშუალება, მთავარ-მართებელს უნდა სთხოვონ, რომ ჩვენი უფზდიც ბათომის გუბერნატორს მიანდონ!..

თუ დიდ ხანს მიატოვეს ამ ავაზაკების დაჭერა, ამათ ბევრი მიემატებიან და დიდ უბედურებაში ჩავარდება მრთელი მაზრა. ამას წინედ ერთმა აზნაურის შვილმა აიკლო კიდევ ერთი მხარე ჩვენი მაზრისა. ოცი წელიწადი იყო ეს კაცი გავარდნილი. ბოლოს ერთ კაცს მიუხტა სახლში; ამ კაცმა გაიმეტა თავი და შეეომა. საწყალი გლეხი-კაცი ძლიერ მძიმედ დასჭრა, მაგრამ ისიც კი დაიმორჩილა. შეიკრიბნენ სხვებიც. დაუპირეს მოკვლა, მაგრამ კანონის შეეშინდათ. — ჩავაბარებთ სამართალსო, მაგრამ გამოუშვებენ თავდებობით და სულ აგვიკლებსო! იფიქრეს საწყლებმა. ბოლოს ისე დასჭრეს, რომ ცოცხალიც, რომ დარჩეს ვეღარა გვავნოსო. ერთი ფეხი გაუფუჭეს, ერთი ხელი და ერთი თვალი. დაწყნარდა ყველანი და დაიძინეს ტკბილი ღამე. მაგრამ ამ გლეხს გადაწვას ექადიან მისი მონათესავენი. რა ქმნას საწყალმა არ იცის. როგორც ამბობენ გადასახლებას აპირებს.

ს—ის. მ—ლი.

სოფლის მღვდლის წერილები.

წინა სიტყვაობის მაგიერი.

ვგონებ ისეთი უგნური და უცოდინარი მოსამართლე არ აღმოჩნდება, რომელიც მომჩივან — მოპასუხეში ერთს მისცემს ნებას ლაპარაკისას და მეორეს კი არა; ერთი მხარე მოისმინოს და მეორე გაამტყუნოს პასუხის მოუსმენლად.

მაგრამ განა არ ვხედავთ ჩვენ მისთანა მოკლე ჭკუის კაცებს, რომელთათვის ერთი მხარის საჩივრის განცხადება და მოსმენა საკმაოა მეორე მხარის გასამტყუნებლად? ბანა კოტანი არიან ამისთანა უგნურები?

სწორედ ასე ემართება სამღვდელო წოდებას ეხლანდელ დროში. მასზედ ყველა სწერს გაზეთებში: ქრისტიანი, ურია, თათარი, მორწმუნე და ურწმუნო, ნასწავლი და უსწავლელი. არ არის ისეთი მომთმენი წოდება, როგორიც არის სამღვდელოებისა. თუ სთქვი რამე, ისა სწყენთ.

„— მღვდელი არ უნდა გამოყვეარავის გაზეთში სალაპარაკოდო. მღვდელმა უნდა ყველაფერი მოითმინოსო. ერთ ყბაში რომ შემოგკრან, მეორე უნდა მიუშვიროეო“ და სხვა ამისთანები. თუ გაჩუმდი და ხმა არავის გაეცი მაშინ სულ სხვა ლაპარაკს დაიწყებენ.

„— მტყუანი არიან, თორემ რატომ თავს არ იმართლებენო. ისინი ჭამაში არიან მარდი, თორემ სხვაში არაფერშიო. მუნჯები არიან და თავს იმუნჯებენ მიტომ, რომ გასამართლებელი არაფერი მოეძებნებათო“ და სხვ.

როგორც გაზეთები ერცელდება ისე სამღვდელოებაზე მწერლებიც მრავლდებიან. რუსეთში და სხვაგან სამზღვარს გარეთ სასულიერო წოდებას აქვს თავისი ჟურნალ-გაზეთები და ამ ჟურნალ-გაზეთებით პასუხს აძლევენ ყველას. საზოგადოება ჰკითხულობს ერთსაც და მეორესაც და ამ ორივეს ნაწერებიდან თავისი დასკვნა გამოჰყავს. ჩვენში, სამწუხაროდ, ერთი გაზეთი და ჟურნალი არ მოიპოება, რომ ამისთანა მწერლებს კაცმა პასუხი გასცეს. ამისთვის საზოგადოებაში ერცელდება ცუდი და ბრუნდი შეხედულება სამღვდელოებაზე*), რომ კიდეც ვქონდეს ჩვენ ჟურნალ-გაზეთები, კიდეც ესწერდეთ მათში პასუხს, რა გამოვა? სასულიერო ჟურნალ-გაზეთებს იწერს მხოლოდ სასულიერო წოდების პირები და მათში დაწერილი გაუგებელი დარჩება სახორციელო წოდების პირებთა თვის.

ამისათვის მე განვიზრახე, თუ თქვენგან ნება მექნება, ბ. რედაქტორო, თქვენი გაზეთის საშუალებით პასუხი გავსცე ყველა იმ მწერლებს, რომელნიც გაუგებლად, ბრალიან-და-უბრალოდ იწერებიან სამღვდელოებაზე და აუგებენ მათ უმართლოდ. მე განვიზრახე, პასუხი გავსცე ამისთანა მწერლებს სამღვდელოებაზე, რომელთაც არ ესმისთ სამღვდელოების წოდება, არ გაეგებათ მათი მოვალეობა და არ შეუძლიათ მათი სამსახურის დაფასება.

ამას გარდა მე ვეცდები დავანახო საზოგადოებას სხვა-და-სხვა მიზეზები, რომელნიც სამღვდელოებას წინ უდგიან და არ ასრულებინებენ მათ თავის პირ-და-პირ მოვალეობას. ვეცდები დავანახო საზოგადოებას მიზეზე-

---

*) შემცდარია პატივცემული სოფლის მღვდელი, როდესაც ამბობს, ვითომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები სამღვდელოების გასამართლებელ პასუხებს ადგილს არ აძლევენ. და თუ იმათი გასამართლებელი პასუხები იშვიათად იბეჭდება, ეს, ჩვენის აზრით, იმას ნიშნავს, რომ ახლანდელ ჩვენ სამღვდელოებას ძალიან იშვიათად აქვს გასამართლებელი პირი, მაშასადამე გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ „ცუდს“ და „ბრუნდს“ სამღვდელობაზედ ცუდი შეხედულობა გრცელდებოდეს.

რედ.

ბოროტებამ ფრთა გაშალა,
ნავარდს შვრება და ხარკს იღებს,
მსხვერპლი უჩანს ვითომც ჩალა

—

დაძაბუნდნენ მამაცები,
დედაბრები ეაქკაცობენ;
მოხუცები ყმაწვილთ ჰბაძვენ
ბალანი მოხუცობენ;
ჭკვიანებს „სულელთ“ არქმევენ
და სულ ლენჩებს კი აბრძნობენ;
მამულისა ერთგულსა ჰკვლენ
და მოღალატეს სწყალობენ!

—

ამ-გვარ წყობილებას დაჰყვა
აზრთა, ენის ცვლილებანი:
დღეს გარყვნილს, მაგრამ ჯიბე-სქელს
ეცს ჰქვია „პატიოსანი“,
შვნურთ, ბილწთა შემწეობით
ბათეთრებას — „არჩევანი“,
ძუძისთვის მარტო ზრუნვა-კი —
„სიცოცხლე აზროვანი“...

—

თავდადებას მამულისთვის
დღეს ჰრაცხვენ „უგნურობადა“,
ერთობის და ძმობის წადილს
„შაქმო კაცთ ხუმრობადა“,
პირში თქმას, ზურგს უკან დუმილს
„დაუვიწყებელ მტრობადა“
მტრების პანღურის ატანას
„ბამოცდილ გონიერობადა“...

—

ჰეი გიდი, დროვ წარსულო,
შლეაშო და ჭკუავ სრულო,
რაინდთა ზნეე, პირ-სიმტკიცეე,
ნამუსო სახელ-განთქმულო,
მამულისთვის წალმართობავ,
სისხლო მისთვის დანთხეულო,
აწ თქვენ ერთსაც ვერა გცნობენ...
ბარემ გასკდი მკერდში გულო!

—

ვაი ამ დროს, ვაი სახელს,
ვაი მამულს დაცემულსა,
ერის თავმოყვარეობას
და კაცთ ულვაშს შერცხვენილსა,
ვაი მოქალაქეობას,
ზნეს და ლეჩაქს ლაფ-დასხმულსა —
ჩვენდა მხსნელად რომ ვერ ვხედავთ
ბარემოებათა წნულსა!

—

მაშ, თუ ვგოდებ ნუ დამცინით,
ხომ გესმიან გულს რა მიწყლავს.
ვინც დამცინის, მას მეწყერი,
თანამგრძნობს კი ვეედრი სიტყვას:
„უზნეობამ ზარი დაგვცა,
ვით სოლომონ ოსმალთა ჩაქეს,

ს. სეფა. ივდ. თავართქილაძე.

* * *

ამ საძაგელს დროში მყოფი
ვემსგავსები მარად დამთვრალს,
უბრალო ცილის-წამებით
არ გვაძლევენ ჩვენ სამართალს:
ბვაბრალებენ, კონტრაბანდად
ჩვენ ვზიდვიდეთ ვითომ ფართალს!
დაილოცა მისი პირი,
ვასაც უთქვამს: „ჭირი მართალს!“

ს. ლესა. ე. თავდგირიძე.

ბანცხადება.

!ეი, მოაქციეთ ყურადღება!

!?ვის გინდა ცოლი დიდ მზითვიანი?!

35 წლის მშვენიერს მანდილოსანს შავ-თვალ-წარბას და ყირმიზ ლოყას, ფრიად ძუნწს, რომელიც ქმარს უფრო არგებს, და 50,000 მანეთად ღირებული ქონების (ამათში 20,000 მან. ნაღდი ფული) მზითვიანს ჰსურს გათხოვება და იწვევს მსურველებს თავიანთი სურათები და ბიოგრაფია გამოუგზავნონ მას იმ ადრესსით... რომელიც შემდეგ გამოცხადდება.

ორი საჭიროა შენიშნეა: ა) რადგანაც ეხლა სხვა დროა, ამიტომაც საჭიროდ ვთვლი მოვიხსენიო, რომ მე ქმარი ცოცხალი არ მყავს და, მაშასადამე, ჩემი ყიდვა საქმროს არ დასჭირდება და ბ) გაეყვები მხოლოდ იმას, ვინც მომეწონება და ჩემდენი შეძლება ექნება. (5—1)

რედაქტორი ლ. გამომცემელი ს. ე—ლანძე.

ბი, რომელნიც აშორებენ სამღვდელოებას საზოგადოებასთან**).

მართალია, ზოგიერთს არ მოეწონება რაც უნდა ითქვას სამღვდელოების სასარგებლოდ და მათ დისაცველად, მაგრამ, ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ გაზეთის მკითხველებში ორი წილი მეტი იქმნება ისეთი, რომელსაც სასიამოვნოდ დაურჩება მათი პასუხის წაკითხვა.

სოფლის მდვდელი.

ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა სათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს. გარალეკინი და ლისიცეკი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცეკი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცეკი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტ. ავადმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცეკი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტ. ავადმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — სირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცეკი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავადმყოფობისა.

შაბათს. ლისიცეკი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავადმყოფობისა.

განცხადებანი

ღირსეულს და განათლებულს ოჯახში მიიღებენ ქალებს საქალებო სასწავლებლებში მოსამზადებლად.

პირობების შეტყობა შეიძლება ბორში, ბატ. დირექტორ სემენოვის ოჯახში. (10—6)

**) დიდის სიამოვნებით მივცემთ ადგილს ამ გვარ წერილებს ჩვენს გაზეთში. რედ.

ბუნების მოქედანზედ, ბოლდერუას ცირკის გვერდით

მოკლე დროით

შეიძლება ნახვა ყოველ დღეს დილის 10 საათ. საღამოს 11 საათამდი.

საკვირველი სანახაობისა:

12 წლის უმაწვილი ქალი

ელიზა,

ბუნების საკვირველება, სიმძიმით თერთმეტი ფუთი და 38 გირვანქა, მსრებში გარშემო ზომით 3 არშ. და 2 ვერშ., წელში 3 არშ. და 6 ვერშ.

ბერლინში პროფესორების: ვილსოვის ლანგენბერგის, რაიბერტის, და სხვების შემოწმებით, ეს ფენომენი უნდა წარმოდგარიეოს ტუუბების შეერთებით. (3—1)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამოსაკვანი მაკ-მასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბოამადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საშინი, დუხები და სხვ. (100—3)

ინგლისის

მაღაზია

Maison de confiance

შალარეთ ნაკერი ნაი—	1 მ. 10 კ.	მოხეოვის ნაიხ—1 მ.40 კ.
— — —	1—20	— —1—60
— — —	1—40	— —1—80
— — —	1—60	— —2— „
— — —	1—80	— —2—50
საუკეთესო—	2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალალდ., შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადეიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—3)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი სუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება ტფილისში: შაევრდოვთან, ჩარკვიანთან და ბრიქეროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ.-და-პირ).

ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

ბოლოში: მ. ქერესელიძესთან.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

დედა და შვილი

და

რამდენიმე ლექსი

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

უმაწვილი ქალი, რომელსაც ... ...